ხელშეკრულება № 38/01

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქუთაისი
25 ივნისი 2018 წ.

ერთის მხრივ, სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის N2 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მურად ჯიშკარიანის სახით და მეორეს მხრივ, **შ.პ.ს „ელო 07"** (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი **დირექტორის ნათია ფერაძის** სახით, ს/კ 212777146 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია :

1.2. ჰარის კონდიცირების მოწყობილობები CPV -39717200 -1280 ლარი.

1.3. შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 1280 (ერთიათასორასოთხმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება წინასწარ (საქონლის მიღებამდე) ინვოისის მიხედვით.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების 2018 წლის 30 ივნისამდე შემსყიდველის მისამართზე (ქ. ქუთაისი, გ. ტაბიძის #58)

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში

უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 01

აგვისტოს ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის N2 საჯარო სკოლა ს/კ 212850155 მის: ქ. ქუთაისი,გ. ტაბიძის #58 ტელ:240350 ს/ს „ თიბისი ბანკი ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE08TB7544934020100001 დირექტორი ----------	მიმწოდებელი: **შ.პ.ს „ ელო 07"** ს/კ 212777146 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ თიბისი ბანკი ა/ა GE 89TB0390736020100001 დირექტორი 6, [illegible] 212777146 ნათია ფერაძე

ხელწერილი

ინტერესთა კომპლიქტის არარსებობის შესახებ

ქალაქი ქუთაისი 25 ივნისი 2018 წელი.

,, სახელმწიფო შესყიდვების ,, შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N 13 ბრძანებით დამტკიცებული ,, გამარტივებული შესყიდვების კრიტერიუმებისა და გამარტივებული შეყიდვების ჩატარების წესის ,, მე-8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებ, რომ სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის N2 საჯარო სკოლასა და შპს ,,ელო 07 ,, ს/კ 212777146 2018 წლის 25 ივნის N38/01 დადებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობის განხორციელებისას არ ვიმყოფები ინტერესთა კომფლიქტში.

ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე

პასუხისმგებელი პირი თამარა ჩხეტიანი

მიღება – ჩაბარების აქტი

ქალაქი ქუთაისი
28.06.2018 წელი

ერთი მხრივ, სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქ.ქუთაისის №2საჯარო სკოლის დირექტორი მურად ჯიშკარიანის სახით (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორე მხრივ **შ.პ.ს „ელო 07"** " წარმოდგენილი **მისი დირექტორის ნათია ფერაძის** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") შევადგინეთ ეს აქტი, რომ 2018 წლის 25 ივნისის №38/1 ხელშეკრულების თანახმად სკოლამ მიიღო სკოლისათვის საჭირო საქონელი 600 (ექვსასი ლარი და 00 თეთრი) ლარის.

ჩაიბარა:

სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ
ქუთაისის № 2საჯარო სკოლის
დირექტორი

მურად ჯიშკარიანი

ჩააბარა

შ.პ.ს „ელო 07"

დირექტორი ნათია ფერაძე

ნ. ფ

მიღება – ჩაბარების აქტი

ქალაქი ქუთაისი
28.06.2018 წელი

ერთი მხრივ, სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქ.ქუთაისის №2საჯარო სკოლის დირექტორი მურად ჯიშკარიანის სახით (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორე მხრივ შ.პ.ს „ელო 07" " წარმოდგენილი მისი დირექტორის ნათია ფერაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") შევადგინეთ ეს აქტი, რომ 2018 წლის 25 ივნისის №38/1 ხელშეკრულების თანახმად სკოლამ მიიღო სკოლისათვის საჭირო საქონელი 680 (ექვსასოთხმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარის.

ჩაიბარა:

სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ
ქუთაისის № 2საჯარო სკოლის
დირექტორი

მურად ჯიშკარიანი

ჩააბარა

შ.პ.ს „ელო 07"

დირექტორი ნათია ფერაძე

212777146